№451 2016 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ, ქვემოთ ჩამოთვლილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეთ თანხმობა, რომ:

ა) სსიპ - ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვროს - არა უმეტეს 50 ერთეულით;

ბ) სსიპ - ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვროს - არა უმეტეს 85 ერთეულით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**